ხელშეკრულება №71

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი 25 მარტი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ხობი 2005" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის სევერიან დოლბაიას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 "მიმწოდებელი" – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

2.2 კონტროლის ჯგუფის ფუნქციებია:

2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დასრულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

2.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3. ხელშეკრულების საგანი

შპს „ხობი 2005"-ის მიერ შედგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში და სოფელ ბობოყვათში საბავშვო ბაღების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, ანალოგიური საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა სოფელ ქობულეთის, სოფელ ხუცუბნის, დაბა ჩაქვის და გელაურის დასახლების საბავშვო ბაღების მოწყობის მიზნით, თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალებისა (71300000 - საინჟინრო მომსახურებები).

4. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5.2 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება [illegible] მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

7.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 2`000.00 (ორიათასი) ლარი. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, „მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.2 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება 7.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–7 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება,

8.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების გაწუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,5%–ს ოდენობით,

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.4 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო – სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის დაშვებული ხარვეზების გამო, მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება პროექტში დაშვებული ცდომილება და რომლის აღმოფხვრის მიზნით არ იქნება საკმარისი გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში დამატებითი სამუშაოების ანაზღაურებას მიმწოდებელი ახორციელებს თავის თავზე.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) მხარეთა შეთანხმება;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

12. ხელშეკრულების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

13. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;
15.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს", ხოლო სამი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. „შემსყიდველი"-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „შემსყიდველი"-ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
16.2 „შემსყიდველი"-ს საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
16.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

17. „მიმწოდებელი"-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „მიმწოდებელი"-ს მისამართი: ქალაქ ხობი, ბერიას ქუჩა №7;
17.2 „მიმწოდებელი"-ს საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი **BAGAGE22,** ა/ა **GE45BG0000000623613000**; საიდენტიფიკაციო კოდი **244685131**
17.3 „მიმწოდებელი"– შპს „ხობი 2005"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი,

გამგებელი

სულხან ევგენიძე

„მიმწოდებელი"– შპს „ხობი 2005"

დირექტორი

სევერიან დოლბაია

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შპს „ხობი 2005"-ის მიერ შედგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში და სოფელ ბობოყვათში საბავშვო ბაღების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად. ანალოგიური საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა სოფელ ქობულეთის, სოფელ ხუცუბნის, დაბა ჩაქვის და გელაურის დასახლების საბავშვო ბაღების მოწყობის მიზნით. რომელიც უნდა შედგებოდეს სრული არქიტექტურული ნაწილის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო-კომუნალური შიგა და გარე ქსელების პროექტისაგან. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა.

1დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს:

1.1. კონსტრუქციული პროექტი და კონსტრუქციული დასკვნა მდგრადობაზე;
1.2. წყალმომარაგებისა და წყალარინების (კანალიზაციის) შიგა და გარე ქსელების პროექტი;
1.3. გარე გაზმომარაგების პროექტი;
1.4. ელექტრო მომარაგების შიგა და გარე ქსელების პროექტი;
1.5. სუსტი დენების პროექტი (სიგნალიზაცია, ტელეფონი, ინტერნეტი და ტელევიზია);
1.6. მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
1.7. გათბობის ცენტრალიზებული პროექტი;
1.8. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემის პროექტი;
1.9. მთლიანი დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსია;
1.10. ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დამუშავებული უნდა იყოს რესურსული მეთოდით და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ გამოსაყენებელი მასალებზე განფასების შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას მათი ტექნიკური მახასიათებლები (მოდელი, სტანდარტი, სერთიფიკატი და ა.შ.);
1.11. აზომვითი ნახაზი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი საშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

2. ნორმატიული დოკუმენტები

პროექტების ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებია:

- სნიპ II-2-80 = შენობა-ნაგებობების პროექტირების ანტისახანძრო ნორმები;
- სნიპ II-7-81 = სეისმურ რაიონებში მშენებლობა;
- სნიპ II-9-78 = მშენებლობისათვის საინჟინრო-სამიები სამუშაოები, ძირითადი დებულებები;
- სნიპ 2-02.01-83 = შენობა-ნაგებობების საფუძველი;
- სნიპ 2.03.01-84 = ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სნიპ II-22-81 = ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები;
- სნიპ II-23-81 = მეტალო-ფოლადის კონსტრუქციები;
- სნიპ II-25-80 = ხის კონსტრუქციები;
- სნიპ II-26-76 = სახურავები;
- სნიპ II-28-73 = სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა;
- სნიპ 2.04.01-85 = შენობის შიდა წყალ-კანალიზაციის სისტემა;
- სნიპ 2.04-02-84 = წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-32-74 = კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-64-80 = საბავშვო, სკოლამდელი დაწესებულებები;
- სნიპ 544-82 = შენობა-ნაგებობების ელექტრომომარაგების პროექტირების ინსტრუქცია.

3. სხვა მოთხოვნები:

3.1. მშენებლობის ორგანიზაცია (მ.შ. სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები, კალენდარული გრაფიკები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები და სხვა);

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 5 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

3.3. დაპროექტების პროცესში, ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი გარემოების გამო საპროექტო დოკუმენტაციაში საჭირო ცვლილებების შეტანა დამკვეთთან შეთანხმებით;

3.4. შესასრულებელი სამუშაოების ეტაპებად დაყოფა (საჭიროების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად);

3.5. მშენებლობის პროცესში საავტორო ზედამხედველობის განხორციელება (რომელიც გულისხმობს მშენებლობის პროცესში წარმოჩენილი გაუთვალისწინებელი მდგომარეობის შესაბამისად პროექტის კორექტირებას, დამატებითი ანაზღაურების გარეშე).

3.6. საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ვადა – სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდი.

3.7. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი – ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141

შპს „ხობი 2005"

დირექტორი სვეტლანა დოლბაია